

ქართული უმაღლესი განათლების სისტემის გამოწვევები: აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზება კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში

ავტორი:

ანა პაპიაშვილი

მოწვეული ლექტორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება;
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: anukip@live.com

აბსტრაქტი

კოვიდ-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საგანმანათლებლო სისტემაში - სასწავლო პროცესმა პირისპირი რეჟიმიდან დისტანციურ ფორმატზე გადაინაცვლა. საქართველოში განსაკუთრებული პრობლემა შეიქმნა ინტერნეტსა და ადეკვატურ ტექნიკურ მოწყობილობებზე ხელმისაწვდომობის მხრივ. სტატიის მიზანს წარმოადგენს კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის განხორციელებული აქტივობების შესწავლა და იმის განსაზღვრა, თუ რამდენად სრულყოფილად შეძლეს უნივერსიტეტებმა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების რეალიზება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებულმა 25-მა სიღრმისეულმა ინტერვიუმ და 1815 სტუდენტის გამოკითხვამ გამოავლინა, რომ მიუხედავად არაერთი მცდელობისა, უნივერსიტეტებმა ვერ შეძლეს პანდემიის პირობებში მხარდამჭერი აქტორის როლის მორგება. დაზარალდა სასწავლო პროცესი და სრულყოფილად ვერ უზრუნველყო მოწყვლადი სტუდენტების განათლებაზე ხელმისაწვდომობა. შექმნილი ვიდეო-რგოლების, ორგანიზებული ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟის მიუხედავად, აკადემიური

პერსონალის ნაწილისთვის კვლავ პრობლემურად დარჩა ელექტრონული პლატფორმებით სალექციო პროცესში ჩართულობა, რაც, ცხადია, სწავლების ხარისხზე აისახა. განსაკუთრებით დაზარალდა პრაქტიკული მიმართულებები, რომელთა სასწავლო პროგრამაც ლაბორატორიული მუშაობის კომპონენტს მოიცავდა. ამ მიზეზით, სამედიცინო პროფილის უნივერსიტეტების სტუდენტებმა კოვიდ-19 პანდემიის ძირითადი ნაწილი ჰიბრიდულ რეჟიმში ისწავლეს - ლექციები დისტანციურად უტარდებოდათ, ხოლო ლაბორატორიული სამუშაოები უნივერსიტეტში მისვლით. ამდენად, პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტის მხრიდან გაწეულ არასაკმარის მხარდაჭერაზე ყველაზე მეტად სწორედ სამედიცინო მიმართულების წარმომადგენლებმა მიუთითეს. ამასთან, მიუხედავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პოლიტიკისა, ხელი შეეწყო განათლებაზე ხელმისაწვდომობისთვის, მათ შორის ფინანსური კუთხით, მაინც ვერ მოხერხდა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზით სტუდენტის სტატუსის შეჩერების პრევენცია. პოზიტიური კუთხით უნდა ითქვას, რომ ქართულენოვანი სასწავლო მასალები გაციფრულდა, რათა სტუდენტებს ამ თვალსაზრისით დაბრკოლებები არ შექმნოდათ. თუმცა, კერძო უნივერსიტეტებში დაფიქსირდა ერთეული შემთხვევა, როცა სასწავლო მასალებზე წვდომა ფასიანი იყო, რამაც, ცხადია, სასწავლო პროცესში სტუდენტების ჩართულობა შეაფერხა. სტატიაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში სახელმწიფო უნივერსიტეტები, აკადემიური პასუხისმგებლობის რეალიზების მხრივ, არაერთი გამოწვევის წინაშე დადგნენ. შედეგად კი, კერძო უნივერსიტეტები უფრო მეტად ორიენტირდნენ მოწყვლად სტუდენტებსა და აბიტურიენტებზე, რითაც როგორც აკადემიურ დონეზე, ისე საზოგადოებაში საკუთარი როლი მეტად გამოკვეთეს. ზოგადი შეფასებით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა კოვიდ-19 პანდემიის პირობებში ძირითად ორიენტირად აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური კომპონენტების რეალიზება განისაზღვრეს, ექსტერნალური კომპონენტების - ნაკლებად. თუმცა, შიდასაუნივერსიტეტო დონეზეც კი, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა ხარვეზული იყო. საერთო გამოცდილებით, კოვიდ-19

პანდემია ნეგატიურად აისახა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეზე - შეაფერხა სწავლა-სწავლების პროცესი და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა. თუმცა, პოზიტიური გავლენა იქონია სტუდენტების ფინანსურ და დროით რესურსზე, ამასთან მათ ყოველდღიურ ხარჯებზე.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება, კოვიდ-19 პანდემია, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მხარდაჭერა.

Challenges of Higher Education in Georgia: Implementation of Academic Social Responsibility during the Covid19 Pandemic.

Author:

Ana Papiashvili

Invited lecturer, Department of Sociology and Social Work, Tbilisi State University

email: anukip@live.com

Abstract

The COVID-19 pandemic has precipitated significant transformations in the educational system, leading to a transition from traditional face-to-face instruction to remote formats. Within Georgia, particular challenges have emerged concerning internet accessibility and the availability of necessary technical resources. This article aims to scrutinize the measures undertaken by higher education institutions to ensure the uninterrupted continuation of educational activities during the COVID-19 pandemic and to assess their efficacy in fulfilling their academic social responsibilities. Through 25 in-depth interviews with academic and administrative personnel from higher education institutions and a survey encompassing 1,815 students, it was discovered that despite concerted efforts, universities struggled to assume a supportive role during the pandemic. The curriculum suffered disruptions, resulting in inadequate provision of education to vulnerable student demographics. Despite the implementation of instructional videos, training sessions, and guidelines, certain academic staff encountered difficulties in effectively delivering lectures via electronic platforms, consequently impacting the quality of teaching. Practical

components, particularly those involving laboratory work, were notably affected. Consequently, students enrolled in medical programs had to adopt a hybrid learning approach, with remote lectures and on-site laboratory sessions. Consequently, representatives from the medical field criticized the inadequate support provided by universities during this period. Furthermore, despite institutional efforts to enhance educational accessibility, particularly from a financial standpoint, it was not possible to prevent the suspension of student statuses due to economic hardships. On a positive note, it should be said that efforts were made to digitize Georgian language learning materials to mitigate barriers faced by students. However, instances were reported in private universities where access to learning materials incurred charges, impeding student engagement. The findings of this study underscore the array of challenges faced by state universities in fulfilling their academic responsibilities during the COVID-19 pandemic, prompting private institutions to prioritize support for vulnerable students and prospective applicants, thus underscoring their academic and societal roles. Based on the comprehensive evaluation, it was discerned that higher educational institutions, amidst the challenges posed by the COVID-19 pandemic, prioritized the fulfillment of internal aspects of academic social responsibility, albeit at the expense of addressing external components to a lesser degree. Nevertheless, shortcomings persisted within the intra-university learning framework, indicating flaws in the educational process. Overall, the COVID-19 pandemic has had a negative impact on the landscape of higher education in Georgia, disrupting the teaching-learning process and diminishing access to quality education. Nevertheless, it has also brought about positive effects, such as alleviating financial and time constraints for students, alongside reducing daily expenses.

Key words: Higher education, Covid-19 pandemic, academic social responsibility, higher education institutions, support.

შესავალი

გაეროს წვერი ქვეყნები, უკეთესი და მდგრადი მომავლის მისაღწევად, თანხმდებიან მდგრადი განვითარების 17 მიზანსა და 169 ამოცანებზე, რომლებიც შინაარსობრივად სხვადასხვა გლობალურ გამოწვევას ეხება, როგორებიცაა: სიღარიბე, უთანასწორობა, კლიმატური და ეკოლოგიური გამოწვევები, მშვიდობა და სამართლიანობა და ა.შ. ხაზგასასმელია, რომ ქვეყნების კეთილდღეობის ინდიკატორს და, შესაბამისად, მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანს ხარისხიანი განათლება და მასზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ხარისხიანი განათლების და, ზოგადად, განათლებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, საქართველოსა და მსოფლიოს მიზანია, რომ ა) აღმოიფხვრას უთანასწორობა საგანმანათლებლო სისტემაში, ბ) სკოლებში შეიქმნას უსაფრთხო, ინკლუზიური და პოზიტიური გარემო, გ) გაიზარდოს კვალიფიციური მასწავლებლების რაოდენობა (UNICEF საქართველო, 2018). შესაძლებელია ითქვას, რომ კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ ზემოაღნიშნული მდგრადი მიზნის განხორციელება შეაფერხა, რადგან ზოგადად განათლებაზე და მათ შორის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის მხრივ უთანასწორობა გაჩნდა.

კოვიდ-19-ის პანდემია მსოფლიოში 2019 წლის დეკემბერში გავრცელდა ჩინეთის ქალაქ ვუჰანიდან (World Health Organization (WHO), 2019). პანდემიამ განსაკუთრებული გავლენა იქონია განათლების სექტორზე - საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში, ახალ სასწავლო ფორმატზე გადასვლამდე, შეწყდა სასწავლო პროცესი. ვირტუალურ რეჟიმში სწავლებამ განათლების სექტორში დაბნეულობა გამოიწვია (UNESCO, 2020). სასწავლო პროცესში სახლიდან ჩართულობა რთული იყო სტუდენტების ოჯახის წევრებისთვისაც, რამაც მათ ყოველდღიურობაზე იქონია გავლენა (Chrysi Rapanta, 2020). განსაკუთრებით რთული იყო პრაქტიკული საგნის ლექტორებისთვის ონლაინ პლატფორმის შეთავაზება, რაც მათი სწავლების მეთოდს სრულად ცვლიდა. ეს ცვლილება რთული აღმოჩნდა სტუდენტებისთვისაც, რადგან მთელ სასწავლო პროცესს ლექტორის ან მობილურის ეკრანის წინ უნდა დასწრებოდნენ (Giorgi Basilaia, 2020)

მიიჩნევა, რომ სწავლის „ოქროს სტანდარტი“ პირისპირ სწავლებაა, სწავლების ტრადიციული ფორმაა, ხოლო ონლაინ სწავლება - მეორეხარისხოვანი გადაწყვეტილებაა (Bill Cope, 2020). იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტებს განათლების მისაღებად დიდი თანხის გადახდა უწევთ, მასზე ხელმისაწვდომობა პერიოდულად მცირდება. პირისპირ სწავლება შესაძლოა რადიკალური ტრანსფორმაციების წინაშე კოვიდ-19-ის გარეშეც დამდგარიყო. ილინოისის უნივერსიტეტის გამოცდილება სრულად ონლაინ რეჟიმში სწავლებას გულისხმობს, რაც ხუთ მიზეზს ეფუძნება:

1. უმაღლესი განათლების მასშტაბის გაზრდა და მისი ხარჯების შემცირება
2. სოციალური და თანამშრომლობითი ცოდნის მიღების მეთოდოლოგიური ბაზის განვითარება
3. ინტენსიური ჩართულობის სწავლების მეთოდოლოგიური ბაზის განვითარება
4. მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე ორიენტაცია
5. უწყვეტი განათლება / სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში (Bill Cope, 2020)

სასწავლო მიმართულებების მხრივ, კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების გზები და ხარისხი განსხვავებული იყო - სამედიცინო მიმართულებების სტუდენტები უპირატესობას პირისპირ სწავლას ანიჭებდნენ. ხაზგასასმელია, რომ სტუდენტები მარტივად ადაპტირდნენ სწავლის დისტანციურ რეჟიმთან, თუმცა, პირისპირ ფორმატთან შედარებით, ონლაინ სწავლებით ნაკლებად კმაყოფილები არიან (Gordana Stankovska, 2022).

საქართველოში დისტანციური სწავლების პროცესით უკმაყოფილება, ერთი მხრივ, ინტერნეტზე შეზღუდული წვდომით, ხოლო, მეორე მხრივ, ტექნიკური მოწყობილობების სიმცირითაა გამოწვეული. პრობლემურადაა განსაზღვრული აკადემიური პერსონალის ტექნიკური უნარ-ჩვევებიც. ხაზგასასმელია ისიც, რომ მიუხედავად სწავლის კომპონენტის მხრივ არსებული ხარვეზებისა, კოვიდ-19 პანდემიას და მისით გამოწვეულ დისტანციურ რეჟიმს პოზიტიური გავლენა

ჰქონდა ფინანსურ და დროით რესურსზე; ამასთან სტუდენტები უფრო მეტად ახერხებდნენ სწავლისა და სხვა აქტივობების შეთავსებას (UNFPA, ACT, 2020).

კოვიდ-19 პანდემიის პირობებში უნივერსიტეტების სოციალური პასუხისმგებლობის შესწავლა შინაარსობრივად უკავშირდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, განათლების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს. უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა არის ერთგვარი ინსტრუმენტი, რომელიც გავლენას ახდენს უნივერსიტეტის, სტუდენტების, ზოგადად, საუნივერსიტეტო საზოგადოების ქცევაზე, რათა ექსტერნალურ დონეზე აქტიურ მოქალაქეობას, მდგრად განვითარებას შეეწყოს ხელი, ხოლო ინტერნალურ დონეზე - განათლებაზე ხელმისაწვდომობას (Pedro Severino-González, 2022).

წინამდებარე სტატია შეეხება, კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში, ქართული უმაღლესი განათლების სისტემაში, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების მხრივ, არსებულ გამოწვევებს. სტატია სტრუქტურულად მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას (კონტექსტისა და რელევანტური კვლევების ანალიზს), კვლევის მეთოდოლოგიას, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგის განხილვასა და დასკვნას.

ლიტერატურის/თეორიული მიმოხილვა

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის დეფინიცია

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეპტის ონტოლოგია და განვითარება საგანმანათლებლო სივრცეში 1980-იანი წლებიდან იწყება (Esfijani, Hussain, & Chang, 2013). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პროცესის აღსანიშნად სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება, როგორებიცაა: სამოქალაქო ჩართულობა, საჯარო სერვისები, საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობა, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა. თითოეული მათგანი მიემართება იმის გააზრებას, რომ უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ ცოდნის შექმნელი ინსტიტუცია - მას თემის, საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების წინაშეც აკისრია პასუხისმგებლობა. მსგავსი მიდგომით საუნივერსიტეტო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებში შესაძლოა მოიაზრებოდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, მშობლები, კურსდამთავრებულები, სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციები, ბიზნესები, საწარმოები, დასაქმებულები, პროფესიული ასოციაციები, ადგილობრივი მმართველობები და ა.შ. (Esfijani, Hussain, & Chang, 2013). მნიშვნელოვანი ტერმინია აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის სინონიმურ ცნებად გამოიყენება.

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკა 2001 წელს ჩილეში 13 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთობლივი მოქმედებით დაიწყო. მათ შექმნეს ქსელი, რომლის მიზანიც ჩილეს უნივერსიტეტებში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტებისა და პრაქტიკის გაფართოებას ემსახურებოდა (Gomez-Vasquez, 2014). ინტერამერიკული განვითარების ბანკის (IDB) პარტნიორობით, 13-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წამოიწყო ინიციატივა „ეთიკა, სოციალური კაპიტალი და განვითარება“, რათა სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული აქტივობების შესახებ ცნობადობა გაზრდილიყო (Gomez, Naveira, & Bernabel, 2018).

ფრანსის ვალისი (Vallaey, 2013) უნივერსიტეტის სოციალურ პასუხისმგებლობის კონცეპტის განხილვისას აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის 4 ძირითად ტიპს გამოყოფს:

- **ორგანიზაციული** - მოაზრებულია ინტერნალური (შიდა) ორგანიზაციული გავლენა, რაც უნივერსიტეტის გარემოსა და აკადემიის წევრებზე ახდენს გავლენას
- **კოგნიტური** - ძირითადად, ორიენტირებულია ახალი ცოდნის დაგროვებაზე
- **საგანმანათლებლო** - განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ შემთხვევაში მიღებული ცოდნის გაზიარება იძენს
- **სოციალური** - ორიენტირდება ექსტერნალურ (გარე) ორგანიზაციულ გავლენაზე, რაც უშუალოდ საზოგადოებას (არა აკადემიის წევრებს) უკავშირდება (Vallaey, 2013)

ვასილესკუმ და სხვებმა (Vasilescu, Barna, Epure, & Baicu, 2010) ნაშრომში „უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება: მოდელი სამოქალაქო საზოგადოების გამოწვევებისთვის“ (*„Developing university social responsibility: A model for the challenges of the new civil society“*) უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა უნივერსალურ კონტექსტში განიხილეს და განსაზღვრეს როგორც „აქტიური მოქალაქეობისა და, ზოგადად, სამოქალაქო ვალდებულებების გაძლიერების საჭიროება“, რაც ეკოლოგიურ და გარემოსდაცვით აქტივობებსაც მოიაზრებს. ნაშრომში აღწერილია, რომ უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა არის ეთიკური მიდგომა, რაც მხარს უჭერს/წაახალისებს საუნივერსიტეტო საზოგადოების - აკადემიური პერსონალის, სტუდენტების - სამოქალაქო ვალდებულებასა და სოციალური მომსახურებების გაწევაში მათ ნებაყოფლობით ჩართულობას. ავტორთა მოსაზრებით, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მდგრადი განვითარების მისაღწევად მოქალაქედ ყოფნის შეგრძნების განვითარებაა (Vasilescu, Barna, Epure, & Baicu, 2010).

დისტანციური სწავლების კონცეფცია

დისტანციური სწავლება განისაზღვრება, როგორც ლექტორისა და სტუდენტის სივრცით განზომილებაში განცალკევება, რასაც ტექნოლოგიური რესურსები ავსებს (Casarotti, Filipponi, Pieti, & Sartori, 2002). ტრადიციულად, განათლების მიღების დომინანტური მეთოდი პირისპირი კომუნიკაციაა - უმაღლესი განათლების შემთხვევაში ეს გულისხმობს სააუდიტორიო შეხვედრებს, ლექცია-სემინარების ერთ სივრცულ-დროით განზომილებაში ჩატარებას. ტრადიციული სწავლების ფარგლებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტის ფიზიკურ გარემოში ურთიერთქმედება განიხილება, როგორც წამყვანი სასწავლო ელემენტი, რასაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „ბრძენს სცენაზე“ (Shachar & Neumann, 2003). დისტანციური სწავლება ქმნის შესაძლებლობას, სასწავლო პროცესი „ნებისმიერ ადგილას“ სწავლების მოდელიდან გადაიყვანოს „ნებისმიერ დროს“ სწავლების ფორმატზე (ვერულავა, 2021).

დისტანციური სწავლებისა და ონლაინ კურსების ფორმატზე საუბრისას, ორი ძირითადი ფორმატი გამოიყოფა: სინქრონული და ასინქრონული.

- სინქრონული კურსები - სტუდენტები და ლექტორები ერთდროულად მონაწილეობენ, თუმცა, საუნივერსიტეტო სივრცის განსხვავებულ ლოკაციაზე იმყოფებიან. ეს შესაძლოა იყოს ვიდეო კონფერენციით, ვებ კონფერენციით, აუდიო კონფერენციით ჩატარებული შეხვედრები.
- ასინქრონული კურსები - ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი სტუდენტისა და ლექტორის თანადროული დასწრება. ეს შესაძლოა იყოს ბეჭდურ საშუალებებზე დაფუძნებული კურსი ან ონლაინ კურსი, რომელიც მომზადებული მასალის მოგვიანებით გაცნობის შესაძლებლობას ქმნის (ბაქრაძე, 2020).

კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეულმა აუცილებლობამ შეცვლილიყო სასწავლო ფორმატი, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა საერთაშორისო დონეზე მოქმედი უნივერსიტეტები. ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის კვლევის მიხედვით, ძირითადი გამოწვევები, რასაც მრავალპროფილური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შეხვდნენ, მიემართებოდა ერთიანი

ინსტიტუციური ნორმების დანერგვას, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ აუცილებელი ტექნიკური უნარ-ჩვევების ფლობას, ინფრასტრუქტურულ გამართულობას, ელექტრონული რესურსების მობილიზებასა და, რაც მთავარია, საუნივერსიტეტო სწავლების შესაბამისი სტანდარტის დაცვას (Gaebel, 2021).

ქართული უმაღლესი განათლების სისტემის გამოცდილება კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ცვლილებები 2020 წლის გაზაფხულის სასწავლო სემესტრიდან დაიწყო. საქართველო იყო მსოფლიოს 188 ქვეყნიდან ერთ-ერთი, რომელსაც სასწავლო პროცესის შეწყვეტა მოუწია (Giorgi Basilaia, 2020).

კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ ყოველდღიური ცხოვრების თითქმის ყველა ეტაპზე ცვლილებები მოითხოვა, მათ შორის უმაღლესი განათლების სფეროშიც, რის შედეგადაც, რეგულაციების შესაბამისად, სწავლების ფორმატი შეიცვალა და საგანმანათლებლო სივრცე სრულად დისტანციურ ან შერეული სწავლების რეჟიმზე გადავიდა. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო გეგმა და შეფასების სისტემა ელექტრონული სწავლების ფორმატის შესაბამისად მოდიფიცირდა.

სიტუაციის ზოგადი შეფასებისთვის, ხაზგასასმელია, რომ კოვიდ-19 პანდემიამ ქართული უმაღლესი განათლების დონეზე ონლაინ სწავლების პროცესის დანერგვა დააჩქარა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტების ძირითადი ნაწილი ფლობდა ადაპტირებულ ინსტრუმენტებს დისტანციური სწავლებისთვის, ყველა სასწავლო პროგრამაზე არ იყენებდა, რამდენადაც ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში დომინანტურ სასწავლო ფორმატს, პანდემიამდე, სააუდიტორიო სწავლება წარმოადგენდა. კოვიდ-19 პანდემიით შექმნილმა კრიტიკულმა მდგომარეობამ და ე.წ. „ლოკდაუნმა“ (lockdown) უნივერსიტეტები დაავალდებულა და იძულებული გახადა, რომ სწავლების ტრადიციული ფორმატი დისტანციურით ჩაენაცვლებინა (Darchia & Glonti, 2020). 2020 წლის 31 მარტს

გამოიკა საქართველოს მთავრობის დადგენილება #205 – „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“, რომელიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის პრინციპსაც არეგულირებდა (საქართველოს მთავრობის დადგენილება #205, 2020). შესაძლოა ითქვას, რომ კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული ცვლილებები ორგანიზაციულ დონეზე გუნდური მუშაობისა და მობილიზაციის გამორჩეული მაგალითია (Darchia & Glonti, 2020).

თუმცა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ანგარიშის - „განათლების სექტორის მიმოხილვა COVID-19 პანდემიის პირობებში“ - მიხედვით, ქვეყანა მოუმზადებელი დახვდა ახალ გამოწვევას. განსაკუთრებით მწვავე პრობლემა ინფრასტრუქტურული აღჭურვილობის მიმართულებით შეინიშნებოდა - შინამეურნეობების 38%-ს არ ჰქონდა კომპიუტერი, ხოლო 16%-ს - ინტერნეტზე წვდომა. მსგავსი ტექნიკური პრობლემები განსაკუთრებით იჩენდა თავს რურალური ტიპის დასახლებებში - 2020 წლის მონაცემებით, სოფლად მცხოვრები ოჯახების 68%-ს არ ჰქონდა ინტერნეტი, ქალაქად მცხოვრებლების შემთხვევაში კი მსგავს კატეგორიაში 24% ექცეოდა (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2021).

ანგარიშში პრობლემადაა განსაზღვრული მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებით მიწოდებული ინტერნეტის დაბალი ხარისხი, რაც სალექციო-სასემინარო პროცესში აქტიურ ჩართულობას ართულებს. თუკი ლექტორს ან სტუდენტს ინტერნეტზე მუდმივი წვდომა არ აქვს, სასწავლო პროცესი, ცხადია, შეფერხებით მიმდინარეობს. მსგავსი პრობლემები კი განსაკუთრებით აქტუალური იყო დედაქალაქის მიღმა მცხოვრები ინდივიდებისთვის (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2021).

ქვეყნის დონეზე სოციალური პასუხისმგებლობის შესაფასებლად გასათვალისწინებელია კოვიდ-19 პანდემიის დროს მთავრობის პოლიტიკა, რომელიც ნაწილობრივ განათლების სექტორსაც მიემართებოდა. განათლების

სერვისების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სერვისები, ძირითადად, ერთიანდებოდა სოციალური დახმარებების პროგრამებში:

- საშელავათო ინტერნეტ პაკეტი - 2020-2021 სასწავლო წლის დასრულებამდე, სტუდენტებისთვის და ზოგადი განათლების საფეხურზე ჩართული პირებისთვის შესაძლებლობა შეიქნა რომ 20 GB მობილური ინტერნეტი შეეძინათ 10 ლარად, რაც, საბაზრო ფასთან შედარებით, 2.5-ჯერ იაფია.
- ინტერნეტის ზოგადი ხელმისაწვდომობა - 'Universal Internetization Project'
- საჯარო შესყიდვები განათლების სექტორში (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2021).

მთავრობის 2020 წლის ანგარიშის თანახმად, ქართული საგანმანათლებლო სივრცე კოვიდპანდემიით გამოწვეულ შეცვლილ რეალობას მომზადებული არ შეხვედრია, თუმცა ადეკვატურ დროში მოახერხა სასწავლო ფორმატის მოდიფიცირება. მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს როლი - უნივერსიტეტებს პანდემიის დასაწყისშივე დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ონლაინ პლატფორმები გაუზიარა. ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შეიმუშავა ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის დამხმარე დოკუმენტი (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020)

სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, მთავრობის ანგარიშში არსებული ინფორმაციის თანახმად, შემუშავდა ტრენინგ-კურსი „COVID-19“, რომელიც გულისხმობდა სამედიცინო სერვისების გაწევას ვირუსით ინფიცირებული ინდივიდებისთვის. ამ ტრენინგ-კურსით გადამზადდნენ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების მაღალკურსელები, რომლებიც შემდგომ კოვიდის მართვის პროცესში ჩაერთნენ, როგორც მოხალისეები.

უმუალოდ სასწავლო პროცესის და სტუდენტების ხელშეწყობის მიზნით, ანგარიშში აღწერილია მთავრობის რეკომენდაციები უნივერსიტეტებისთვის,

რომლებიც ითვალისწინებდა სწავლის საფასურის გადახდის საშეღავათო პოლიტიკას - ერთი მხრივ, გადასახადის გადავადებას, ხოლო, მეორე მხრივ, გადახდის მოქნილი ინდივიდუალური გრაფიკი (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020).

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტის პოლიტიკის მიღმა, სოციალური პასუხისმგებლობისა და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 150 000 და ნაკლები ქულის მქონე სოციალურად დაუცველ 15000-მდე სტუდენტს სწავლის საფასური დაუფინანსდა. ანგარიშში განხილულია უნივერსიტეტების მიმართ გაცემული რეკომენდაციაც, რომელიც შეეხებოდა სწავლის საფასურის გადახდის საშეღავათო პოლიტიკას - გადავადებას ან მოქნილი ინდივიდუალური გრაფიკის შეთავაზებას (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020).

დისტანციური სწავლების ფორმატის მთავარი გამოწვევა იყო ის, რომ ყოფილიყო სწავლების ტრადიციული ფორმატის ანალოგი და თითოეული სასწავლო მიმართულების სტუდენტს მიეღო ისეთივე შედეგი, რასაც სააუდიტორიო ლექცია-სემინარების შემთხვევაში მიიღებდა (Abuladze, 2021).

ლალი ბაქრაძის კვლევაში „ახალი საგანმანათლებლო რეალობა - ტერმინები გამოწვევები, რეკომენდაციები“ (2020) აღწერილია, რომ შერეული და ექსკლუზიურად ონლაინ სწავლების დანერგვა სასწავლო პროცესის განსხვავებული სახით ორგანიზებას საჭიროებს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სწავლა-სწავლებისა და შეფასების განახლებული მიდგომების, სისტემების დანერგვას, შესაბამის ინფრასტრუქტურასა და რესურსებს. დოკუმენტში დისტანციური სწავლების გამოწვევებად განხილულია შემდეგი:

- ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მზაობა

- ინფრასტრუქტურა და ელექტრონული რესურსები
- ვირტუალური მობილობა (ზაქრადე, 2020)

საუნივერსიტეტო სივრცეს განსაკუთრებული პრობლემები სწორედ ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების თვალსაზრისით შეექმნა, რაც ძირითადად აკადემიური პერსონალის ციფრულ უნარებს მიემართებოდა. ამასთან, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების დიდი ნაწილისთვის დისტანციური სწავლება, სააუდიტორიო ფორმატთან შედარებით, პრობლემურია, რადგან პროაქტიული ტექნიკების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება ვერ ხერხდება. განსაკუთრებით პრობლემურად პრაქტიკული საგნების სწავლება მიიჩნევა.

2020 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები გამოკვეთს, რომ რესპონდენტთა 10% დისტანციური სწავლების პირველ სემესტრში ამ ფორმატს ძალიან ეფექტურად მიიჩნევდა, ხოლო თითქმის ყოველი მეოთხე (24%) - სრულიად არაეფექტურად. ამასთან, ონლაინ ფორმატით კმაყოფილები, ძირითადად, ისინი იყვნენ, ვინც რეგულარულად ესწრებოდნენ ლექციებს, ხოლო უკმაყოფილო სტუდენტები, ძირითადად, ლექცია-სემინარებში არ ერთვებოდნენ (ოსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, 2020).

ევროსტუდენტი 8-ის შედეგები მოწმობს, რომ კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეულმა ცვლილებებმა სასწავლო სივრცეში უარყოფითად იმოქმედა სწავლასთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე (47%), სწავლების ხარისხზე (48%), სტუდენტებთან კომუნიკაციაზე (54%), მოტივაციაზე, რომ არ ჩამორჩენოდნენ სწავლას (42%) (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2023).

ხაზგასასმელია, რომ კორონავირუსის პანდემიამ უმაღლესი განათლების დონეზე გავლენა მოახდინა არამხოლოდ სასწავლო პროცესზე, არამედ სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებზეც - საინფორმაციო სესიები, გაცვლითი პროგრამების შესახებ შეხვედრები, ადმინისტრაციის გუნდის თათბირები და ა.შ.

ყველაფერი დისტანციურ ფორმატში იმართებოდა, სხვადასხვა ონლაინ პლატფორმის გამოყენებით (Darchia & Glonti, 2020).

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური კომპონენტებიც კი, რომლებიც, ძირითადად, სრულად მიემართება სწავლა-სწავლების პროცესს, ხარვეზებით სრულდებოდა.

კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი სტატიის მიზანია კოვიდ-19 პანდემიის პირობებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სრულფასოვანი სასწავლო პროცესის მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შესწავლა; იმის განსაზღვრა, თუ რამდენად სრულყოფილად შეძლო უნივერსიტეტებმა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური და ექსტერნალური კომპონენტების რეალიზება. განისაზღვრა შემდეგი საკვლევი შეკითხვები:

- რამდენად მომზადებული შეხვდა ქართული უმაღლესი განათლების სისტემა დისტანციურ ფორმატზე გადასვლის აუცილებლობას?
- რამდენად გამართული სასწავლო პლატფორმები შესთავაზა უნივერსიტეტმა სტუდენტებს?
- რა ნაბიჯები გადადგა უნივერსიტეტმა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის?
- მოახერხეს თუ არა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის არამხოლოდ ინტერნალური (სასწავლო პროცესთან დაკავშირებული), არამედ ექსტერნალური (ზოგადად, განათლებაზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლების) კომპონენტების რეალიზებაც?

- მთლიანობაში, რამდენად სრულყოფილად შეძლო უნივერსიტეტმა მხარდამჭერი აქტორის როლის შესრულება?

ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევა დაეფუძნა ტრიანგულაციურ მიდგომას, რაც გულისხმობს კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას. სამიზნე ჯგუფებად განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული პერსონალი, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებულია ქვეყნის 5 საუნივერსიტეტო ქალაქის დონეზე შეგროვებული მონაცემებისგან (კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტები): თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი, ახალციხე.

თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევა ორი ძირითადი კომპონენტითაა წარმოდგენილი: სამაგიდე კვლევა (desk research) და სიღრმისეული ინტერვიუები. სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა, ზოგადად, განათლების და მათ შორის უმაღლესი განათლების მიმართულებით კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში შემუშავებული რეგულაციები, სახელმძღვანელო მითითებები; ამასთან, პანდემიის პირობებში სტუდენტთა სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის აღმწერი კვლევების შედეგები და განათლებაზე ხელმისაწვდომობის შემაფასებელი სამეცნიერო ანგარიშები.

ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან (სხვადასხვა სასწავლო მიმართულების პროფესორები და მოწვეული ლექტორები) ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის შეფასება, უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობის გაანალიზება, თუ რა აქტივობებით ხდებოდა ამ პირობებში განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების უზრუნველყოფა. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, რესპონდენტები შეირჩნენ არაალბათური შერჩევის მეთოდით, კერძოდ მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე. სულ ჩატარდა 25 ინტერვიუ - 10 ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან, ხოლო 15 ინტერვიუ - აკადემიურ პერსონალთან.

რაოდენობრივი კვლევა

იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონებში, ძირითადად, სახელმწიფო უნივერსიტეტებია, კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში შეირჩა. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა. შემუშავდა ალბათური შერჩევის მოდელი - მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატეგიკაციით. გამოიყო სამი ძირითადი სტრატა:

1. უნივერსიტეტის ტიპი: ა) სახელმწიფო, ბ) კერძო
2. სასწავლო საფეხური: ა) ბაკალავრიატი და ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული პროგრამები, ბ) მაგისტრატურა და მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული პროგრამები

შექმნა მიღებული მონაცემები რეპრეზენტატული ყოფილიყო უნივერსიტეტის ტიპის, სასწავლო საფეხურისა და სასწავლო მიმართულების დონეზე. მთელი შერჩევის ცდომილება $\pm 2.3\%$ -ია (95%-იანი სანდოობის დონე). რესპონდენტთა რაოდენობა ცალკეულ უნივერსიტეტში სტუდენტთა ოდენობის პროპორციულად განისაზღვრა. გადანაწილება იხილეთ ცხრილში 1. სტუდენტები თვითადმინისტრირებული ანკეტირების საფუძველზე გამოიკითხნენ.

ცხრილი 1 - გამოკითხულ სტუდენტთა სტრატებში გადანაწილება

	სტუდენტთა რაოდენობა	ცდომილება (95%-იანი სანდოობის დონე)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი		
სახელმწიფო	1135	2.9%
კერძო	680	3.7%
სასწავლო საფეხური		
ბაკალავრიატი	1362	2.6%
მაგისტრატურა	453	4.6%
სასწავლო მიმართულება		
ბიზნესი / ეკონომიკა	372	5%

	სტუდენტთა რაოდენობა	ცდომილება (95%-იანი სანდოობის დონე)
სოციალური / ჰუმანიტარული მეცნიერებები	374	5%
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები / ტექნიკური მიმართულება	372	5%
სამედიცინო მიმართულება	371	5%
სახელოვნებო მიმართულება	326	5%
სულ	1815	2.3%

თუმცა, ხაზგასასმელია, რომ კვლევაში მონაწილე სტუდენტების 29.6%-ს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით სტუდენტის აქტიური სტატუსი არ ჰქონია, ამდენად კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტის მხარდაჭერაზე მსჯელობაში არ ჩართულან. შედეგად, სტატიაში წარმოდგენილი რაოდენობრივი მონაცემები ეფუძნება 1278 სტუდენტის შეფასებებს.

კვლევის შედეგები

კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში სწავლა-სწავლების ფორმატი

როგორც აღინიშნა, კოვიდ-19 პანდემიამ როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლა-სწავლების ფორმატი შეცვალა. სასწავლო მიმართულებების მიხედვით, გამოცდილება განსხვავებული იყო - ისეთი პროგრამები, რომლებიც მეტად ითვალისწინებს პრაქტიკულ სამუშაოებს და ლაბორატორიულ საქმიანობას, სამივე სემესტრის განმავლობაში დისტანციურ რეჟიმზე ვერ გადავიდა, რადგან სწავლა-სწავლების პროცესსა და ხარისხზე ნეგატიურად არ ასახულიყო. კვლევაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობამ (53.4%) სამივე სემესტრი დისტანციურ რეჟიმში ისწავლა, თუმცა, ხაზგასასმელია, რომ დაახლოებით ყოველი მესამე ჰიბრიდული ფორმატით სწავლობდა (39.7%). მსგავსი სასწავლო რეჟიმი განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო სამედიცინო

მიმართულებისთვის (73.3%). შედეგი, ცხადია, სასწავლო მიმართულების სპეციფიკასთან არის დაკავშირებული. სამედიცინო მიმართულება ყველაზე მეტადაა დაკავშირებული პრაქტიკულ სამუშაოებთან, მათ შორის - ლაბორატორიულ საქმიანობასთან, რისი განხორციელებაც დისტანციურად შეუძლებელია. ამდენად, კვლევამ ცხადყო, რომ სამედიცინო მიმართულება გადაერთო ჰიბრიდულ რეჟიმზე - ლექციები ტარდებოდა ონლაინ, ხოლო პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები უნივერსიტეტში მისვლით. ამასთან, კონკრეტულად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შემუშავდა ლაბორატორიული სამუშაოების ინდივიდუალური გრაფიკი, რათა რეგიონიდან პერიოდულად ჩამოსული სტუდენტებისთვის ან პანდემიის პირობებში სასტუმროებსა და საავადმყოფოებში ექთნად მომუშავე სტუდენტებისთვის განათლება ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

სტუდენტთა ციფრული მოწყობილობებით უზრუნველყოფა

დისტანციური სწავლების ფორმატზე გადასვლა საქართველოს განათლების სისტემისთვის, მსგავსი გამოცდილების არქონის გამო, მარტივი არ აღმოჩნდა (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2021). აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების თვალსაზრისით, უნივერსიტეტი უნდა უზრუნველყოფდეს ტექნიკურ მხარდაჭერას, მაგალითად, ცხელი ხაზის ფორმით, რომელიც ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში დაეხმარებოდა (ბაქრაძე, 2020). „სტუდენტთა სოციალური საჭიროებების კვლევის“ (2022) მიხედვით, სტუდენტთა ნაწილი სწორედ ტექნიკური ბაზის არარსებობის ან ელექტრონული მოწყობილობების (პერსონალური კომპიუტერი, ლეპტოპი, ტაბლეტი („პლანშეტი“) და ა.შ.) ოჯახის წევრებთან გაზიარების გამო ვერ ერთვებოდა საგანმანათლებლო პროცესში. ამასთან, პრობლემურადაა განხილული ინტერნეტის ყოველთვიური სააბონენტო გადასახადიც. ინტერნეტის ხარისხისა და მასზე ხელმისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებით რეგიონებში მაცხოვრებელ სტუდენტებს შეეხოთ (პაპიაშვილი & ბეჟანიძე, 2022).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სრულად დისტანციურ ფორმატში სწავლა-სწავლების გამოცდილება არ ჰქონდა, უნივერსიტეტები აქტიურად ჩაერთნენ პანდემიის პირობებში განათლების მიღების ხელშეწყობაში. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ როგორც თბილისის, ისე რეგიონულ უნივერსიტეტებს, ძირითადად სტუდენტების შემთხვევაში, ციფრულ მოწყობილობებზე ხელმისაწვდომობის მხრივ მხარდაჭერა გაეწიათ - ვინც სალექციო პროცესში კომპიუტერის ან შესაბამისი მობილურის არქონის გამო ვერ ერთვებოდნენ, უნივერსიტეტმა ტექნიკა გადასცა და, განცხადების საფუძველზე, უფასო ინტერნეტით უზრუნველყო. ზოგ შემთხვევაში ტექნიკა იყო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გაცემული, ანუ მოხმარების შემდეგ ისევ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა დაბრუნებულიყო, ხოლო ერთეულ შემთხვევაში უნივერსიტეტმა უსასყიდლოდ უზრუნველყო სტუდენტები ადეკვატური მოწყობილობებით, რისი დაბრუნების ვალდებულებაც არ არსებობდა.

„იმ სტუდენტებზე, ვისაც არ ჰქონდა კომპიუტერი, მიღება-ჩაბარების აქტით, უნივერსიტეტის ტექნიკა გავეცით. ისინი კი, ვისაც კომპიუტერი ჰქონდათ, მაგრამ ინტერნეტის პრობლემა უფიქსირდებოდათ, წერდნენ განცხადებას და უნივერსიტეტი უფასო ინტერნეტზე ხელმისაწვდომობას უქმნიდა. ასე რომ, ესეც პასუხისმგებლობაა.“
(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეგიონი)

ზოგადი პოზიტიური გამოცდილების მიუხედავად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან ნაკლებად ქმედითი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევებიც დაფიქსირდა, რომლებიც, ერთი შეხედვით, თითქოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მხარდაჭერას ემსახურებოდა, თუმცა, ეფექტიანი და შედეგიანი არ ყოფილა. თბილისის ერთ-ერთ კერძო უნივერსიტეტში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების მხრივ სტუდენტების მხარდამჭერ მექანიზმად, კომპიუტერის არარსებობის შემთხვევაში, აუდიტორიებში მისვლა და უნივერსიტეტის კუთვნილი კომპიუტერით სარგებლობა განისაზღვრა. თუმცა, ამ

შეთავაზებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რადგან კოვიდ-19 პანდემიის საწყის ეტაპზე ქვეყანაში არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, სტუდენტები ვერ მოახერხებდნენ საუნივერსიტეტო სივრცით სარგებლობას, ხოლო მეორე არგუმენტი არის ის, რომ სტუდენტების უმრავლესობა რეგიონებში იყო წასული და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისვლას ვერ შეძლებდნენ.

უნივერსიტეტების პასიურ ჩართულობას გამოკვეთს რაოდენობრივი კვლევის შედეგებიც - ნეგატიურ კონტექსტშია განხილული მოწყვლადი სტუდენტებისთვის ლექტორების გადაცემისა (47.4%) თუ ინტერნეტის პაკეტის დაფინანსების (42.1%) შემთხვევები (პასუხის კატეგორია „არასდროს/თითქმის არასდროს“).

სასწავლო ელექტრონული პლატფორმების გამართულობა

რაც შეეხება უშუალოდ სწავლა-სწავლების პროცესის ტექნიკურ მახასიათებლებს, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების, ისე აკადემიური პერსონალის, შეფასებით, ელექტრონული პლატფორმა, რომლის საშუალებითაც ლექცია-სემინარები ტარდებოდა, გამართული იყო. ამ მხრივ, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური გამოვლინებები მოიცავდა ადმინისტრაციის მხრიდან ლექციების წინსწრებით ჩანიშვნას და შეხვედრის ელექტრონული მისამართის („ლინკი“) სტუდენტების ინდივიდუალურ მეილზე გადაგზავნას. გამოკითხვის შედეგების მიხედვითაც, უნივერსიტეტი ხშირად ან რეგულარულად სთავაზობდა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს გამართულ სასწავლო პლატფორმას (35.9%).

ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა უნივერსიტეტების ნაწილისთვის შედარებით იოლი აღმოჩნდა, რადგან პანდემიის დაწყებამდე, სასწავლო პროცესის ავტომატიზირების მიმართულებით, გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმული იყო. ამასთან, ადმინისტრაციულ პერსონალს, აკადემიურთან შედარებით, დისტანციური მუშაობის მეტი გამოცდილება ჰქონდა.

ონლაინ კურსების სასწავლებლად აკადემიურ პერსონალს უნდა ჰქონდეს თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი ცოდნა და გამოყენების უნარი და მათი შეფასების სისტემაც ონლაინ სწავლებაზე უნდა იყოს მორგებული. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტებში შეცვლილმა სწავლების ფორმატმა გამოკვეთა, რომ აკადემიური პერსონალის ძირითადი ნაწილი არ იყო მზად თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისთვის (ბაქრაძე, 2020). დაბრკოლებები უკავშირდებოდა აკადემიური პერსონალის ციფრულ უნარებს, მათ შორის უშუალოდ ელექტრონული პლატფორმის გამოყენებასაც. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან უნივერსიტეტებს ელექტრონული სისტემების მოხმარების მიმართულებით აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარებისა და სასწავლო პლატფორმის გამოყენების ინსტრუქციის/ვიდეო-გზამკვლევების შემუშავების რეკომენდაცია მიეცათ (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, 2020). ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პრობლემები აქტუალური იყო შედარებით ხანდაზმულ ლექტორებში, რადგან ისინი ციფრულ მოწყობილობებს ზოგადად უფრო პასიურად იყენებენ. არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, პლატფორმების გამოყენებასთან დაკავშირებით, შეიქმნა ვიდეო-რგოლები, ჩატარდა ტრენინგები და ონლაინ რეჟიმში ინსტრუქტაჟი, რამაც სასწავლო პროცესის გამართულობას ხელი შეუწყო. იმ შემთხვევაში კი, თუკი აკადემიურ პერსონალს, ტექნიკური პრობლემების გამო, სახლიდან არ შეეძლო ლექციების ჩატარება, შეეძლო საუნივერსიტეტო სივრცეში კომპიუტერებით უზრუნველყოფილი დეზინფიცირებული აუდიტორიებით ესარგებლა.

გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, დისტანციურ რეჟიმში სწავლის პერიოდში მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ირკვევა, რომ სასწავლო ონლაინ პლატფორმების გამოყენების მიზნით ლექტორები სრულყოფილად გადამზადებულები არ ყოფილან და მსგავსი აქტივობები იშვიათად ან ზოგჯერ განხორციელდა (24.1%). კვლევამ გამოკვეთა, რომ მონიტორინგის სისტემა სრულყოფილად გამართული არ ყოფილა, რადგან ონლაინ პლატფორმაზე ლექცია-

სემინარების ჩატარება სისტემატურად არ მოწმდებოდა, არამედ იშვიათი სახე ჰქონდა (22.1%) ან საერთოდ არ ხორციელდებოდა (19.1%).

სასწავლო მასალების გაციფრულება

კოვიდ-19 პანდემიის პირობებში სწავლა-სწავლების ფორმატის სრულად ან ნაწილობრივ დისტანციურზე გადასვლა მხოლოდ ელექტრონული სასწავლო პლატფორმების შექმნას არ გულისხმობდა. დისტანციურ რეჟიმში სრულყოფილად ჩართვისთვის საჭიროა უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურა და ვირტუალური სასწავლო გარემო - ვირტუალური ლაბორატორიები, ლექციის ჩანაწერები, ციფრული ბიბლიოთეკები, ელექტრონული სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები (ბაქრაძე, 2020).

საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენელთა შეფასებით, პანდემიის პირობებში ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურა გაციფრულდა; ამასთან, შეიქმნა რიდერები, რომლებიც სტუდენტებს დაეხმარათ, რომ სასწავლო პროცესს არ ჩამორჩენოდნენ. გამოკითხვის შედეგებიც მოწმობს, რომ უნივერსიტეტმა სასწავლო მასალების ელექტრონიზაციის პრაქტიკას ხშირად და რეგულარულად მიმართა (54%). ინგლისურენოვან პროგრამებზე სასწავლო მასალები, ძირითადად, ისედაც ელექტრონულ ფორმატშია და ამ მიმართულების სტუდენტებს მასალებზე ხელმისაწვდომობის მხრივ პრობლემები არ შექმნიათ.

„ჩვენი უნივერსიტეტი იყო, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პანდემიაზე მორგების კუთხით, იმიტომ რომ ძალიან სწრაფად შეძლეს Gmail-ზე მიბმული GOOGLE MEET-ის პლატფორმის აწყობა. ტექნიკურად ძალიან ადვილად იყო გაკეთებული ჯგუფები. ფაქტობრივად ერთ კვირაში გააკეთეს მობილიზება და გადავედით და დავიწყეთ ლექციების ჩატარება. გამომდინარე იქიდან, რომ მე ინგლისურ სექტორზე ვასწავლი და ჩვენ ისედაც სულ ციფრული მასალები გვაქვს, არ ყოფილა ლექცია-სემინარების ჩატარების პრობლემა. რაც შეეხება ქართულენოვან წიგნებს, ვიცი, რომ ბიბლიოთეკამ

გაცივრულა ის მასალები, რაც რეალურად მოთხოვნილი იყო ელექტორების მიერ.“ (პროფესორი, ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულემა, კერძო უნივერსიტეტი, თბილისი)

თუმცა, ქვეყანაში არსებული ზოგადი მდგომარეობის შესაფასებლად, ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტთა ნაწილმა დისტანციურ რეჟიმში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის საგანმანათლებლო კომპონენტის სრულყოფილად რეალიზება ვერ მოახერხა. სწავლის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლისას ზოგიერთი უნივერსიტეტის (განსაკუთრებით კერძო უნივერსიტეტის) სტუდენტებისთვის გართულებული იყო სასწავლო მასალაზე ხელმისაწვდომობა. „სტუდენტთა სოციალური საჭიროებების კვლევაში“ აღნიშნულია, რომ სტუდენტები ასეთი არჩევანის წინაშე დადგნენ - ან უნივერსიტეტებისთვის შეეტყობინებინათ და გარკვეული თანხის სანაცვლოდ გამოეწერათ სასწავლო წიგნები ან ესარგებლათ მათი ელექტრონული ვერსიებით. ლოგიკური უნდა ყოფილიყო, რომ ელექტრონული მასალის არსებობის შემთხვევაში სტუდენტს განათლების მიღების პრობლემა არ უნდა შექმნოდა. თუმცა, როგორც კვლევის შედეგებშია აღწერილი, ფოკუს-ჯგუფების შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის სასწავლო პლატფორმაზე განთავსებული სასწავლო ლიტერატურა იყო ფასიანი და მხოლოდ სასწავლო პროგრამაში იყო შესაძლებელი მისი წაკითხვა. ამდენად, სტუდენტებს ელექტრონული მასალების გასაცნობად განსაზღვრული ოდენობის თანხის გადახდა უწევდათ (პაპიაშვილი & ბეჟანიძე, 2022).

ფინანსური მხარდაჭერის საკითხი

პანდემიის პირობებში უნივერსიტეტის მხრიდან საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის გაწეული მხარდაჭერის მხრივ, მნიშვნელოვანი კომპონენტია სტუდენტების ფინანსური დახმარება, რაც ორ ძირითად ასპექტს მოიცავს - ა) სწავლის გადასახადის გადავადება, ბ) გადასახადის ნაწილ-ნაწილ გადახდის შესაძლებლობა. ზოგიერთ უნივერსიტეტში არსებობს ფინანსური მენეჯერის

პოზიციაც - პანდემიის პირობებში მისი როლი, სტუდენტებთან ინდივიდუალური კომუნიკაციის საფუძველზე, მათზე მორგებული გადახდის გრაფიკის შეთავაზება იყო. ინტერვიუებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ კერძო უნივერსიტეტების ნაწილმა კოვიდ-პანდემიის პერიოდში ახალჩარიცხული სტუდენტებისთვის 30%-იანი შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების სერვისი შექმნა.

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური კომპონენტების რეალიზების მხრივ, უნივერსიტეტების აქტიური ჩართულობისა და პოზიტიური გამოცდილების მიუხედავად, ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანი როლი ცალკეულმა ლექტორმა შეასრულა. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ მსგავსი პრაქტიკა, ძირითადად, რეგიონული უნივერსიტეტებისთვის იყო დამახასიათებელი. კოვიდ-19 პანდემიის პირობებში განათლებაზე ხელმისაწვდომობის მხრივ მხარდაჭერა უნივერსიტეტების დონეზე, ძირითადად, კომპიუტერების (ლექტორებით) უზრუნველყოფით შემოიფარგლა, ინტერნეტზე წვდომის საკითხი კი პრობლემურად დარჩა. ის ერთეული შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალურმა პასუხისმგებლობამ ორგანიზაციულ დონეს გადააჭარბა, სწორედ აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებისთვის ინტერნეტის საფასურის გადახდას მოიცავდა. პრეცედენტულმა შემთხვევებმა მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები სტუდენტები მოიცვა. ხაზგასასმელია, რომ აკადემიური პერსონალის მიერ გაწეული დახმარება სისტემატური პრაქტიკა ვერ იქნება, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის, როგორც ორგანიზაციის ჩართულობა და ამ მხრივ რესურსის სრულყოფილად გამოყენება. ზემოაღნიშნული მიმართულებით კი სახელმწიფო უნივერსიტეტების ჩართულობა განსაკუთრებით მცირეა.

ფინანსურ ხელშეწყობაზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ერთეულ შემთხვევებში გამოხატულმა მხარდაჭერამ, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზით სტუდენტის სტატუსის შეჩერების პრევენცია ვერ მოახდინა. „სტუდენტთა სოციალური საჭიროებების კვლევის“ შედეგების მიხედვით, ზოგიერთმა, მათ შორის განსაკუთრებით კერძო უნივერსიტეტმა, კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის მდგომარეობის, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური ფონისა და სახელმწიფოს მიერ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად,

სტუდენტებს გადასახადი არ გადაუვადა, რის გამოც მათ სტუდენტის აქტიური სტატუსის შეჩერება მოუწიათ. ამ კვლევის მიხედვით, პანდემიის სიტუაციაში სტუდენტების მიმართ ემპათიით სახელმწიფო უნივერსიტეტები უფრო გამოირჩეოდა, ვიდრე - კერძო (პაპიაშვილი & ბეჟანიძე, 2022).

გამოკითხვის შედეგებმაც დაადასტურა, რომ უნივერსიტეტის მიერ გაწეული ფინანსური მხარდაჭერა არ იყო სრულყოფილი - მართალია, სტუდენტების შეფასებით, უნივერსიტეტი სწავლის გადასახადის 2-ზე მეტ ნაწილად გადახდის შესაძლებლობას ქმნიდა (42%; პასუხის კატეგორიები „ხშირად“ და „რეგულარულად“), თუმცა ხშირია პრაქტიკა, როდესაც უნივერსიტეტს სწავლის გადასახადის გადავადების მხრივ მხარდაჭერა არასდროს/თითქმის არასდროს გაუწევია (30.1%).

უნივერსიტეტი, როგორც მხარდამჭერი აქტორი

პანდემიის პირობებში უნივერსიტეტის ქცევის შესაფასებლად კვლევაში მონაწილე სტუდენტებს წარედგინათ 10 დებულება, რომლებიც 5-ქულიან სკალაზე გაიზომა: ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „არასდროს/თითქმის არასდროს“, ქულა 5 - კატეგორიას „რეგულარულად“:

1. უნივერსიტეტმა მოწყვლად სტუდენტებს გადასცა ლეკტორები, რათა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართულიყვნენ
2. უნივერსიტეტმა გამართული სასწავლო პლატფორმა შესთავაზა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს
3. დისტანციური სწავლების პერიოდში ონლაინ პლატფორმაზე ლექცია-სემინარების ჩატარება მოწმდებოდა მონიტორინგის მიერ
4. უნივერსიტეტმა დააფინანსა სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი სტუდენტების ინტერნეტის პაკეტი
5. უნივერსიტეტმა გადაავადა სწავლის გადასახადი
6. უნივერსიტეტმა სწავლის გადასახადის 2-ზე მეტ ნაწილად გადახდის შესაძლებლობა შექმნა

7. ცალკეულმა ლექტორებმა, საკუთარი სახსრებით, უზრუნველყვეს სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი სტუდენტების ინტერნეტის გადასახადის დაფარვა
8. უნივერსიტეტმა დააფინანსა სოციო-ეკონომიკურად მოწყვლადი აბიტურიენტების საგამოცდო საგნებში მომზადება
9. უნივერსიტეტმა სასწავლო მასალების ელექტრონიზაცია მოახდინა
10. უნივერსიტეტმა სასწავლო ონლაინ პლატფორმის გამოყენების მიზნით ლექტორები გადაამზადა

იმისათვის, რომ კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტების რეალიზების მხრივ უნივერსიტეტის მხარდაჭერის გამოხში ინდექსური ცვლადი შექმნილიყო საჭირო გახდა მე-7 დებულების რეკოდირება, სკალის შებრუნება (1=5, 2=4, 3=3, 4=2, 5=1), რათა თითოეული დებულება უნივერსიტეტის დონეს დაკავშირებოდა. ამდენად, შეიქმნა ინდექსური ცვლადი, რომელშიც მნიშვნელობების ზრდა მხარდაჭერის ზრდასთანაა დაკავშირებული.

ინდექსური ცვლადი ორ მსხვილ ჯგუფად დაიყო: 1 - უნივერსიტეტი, როგორც არამხარდამჭერი აქტორი (25 ქულა ან ნაკლები), 2 - უნივერსიტეტი, როგორც მხარდამჭერი აქტორი (25 ქულაზე მეტი). სიხშირული გადანაწილების მიხედვით, 41.5%-ს უტოლდება უნივერსიტეტის მხარდამჭერ აქტორად შეფასების შემთხვევები; შესაბამისად, 58.5% - ნეგატიური შეფასების შემთხვევებია.

საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად, გამოყენებულ იქნა საშუალოების შედარების მეთოდი - ჯგუფთაშორისი T-ტესტი (Independent t-test). პირველ დამაჯგუფებელ ცვლადად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი განისაზღვრა. საშუალო მაჩვენებლების დონეზე სამიზნე ჯგუფებს შორის მკვეთრი შინაარსობრივი განსხვავებები არ დაფიქსირდა - სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში ინდექსური ცვლადის საშუალო მნიშვნელობა (mean) 24.09-ია, ხოლო კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში - 25.44. თუმცა, 1.35-ქულიანი სხვაობაც კი სტატისტიკურად სანდო განსხვავებებს იძლევა და სამიზნე ჯგუფებს მხარდაჭერის

სხვადასხვა კატეგორიაში ახვედრებს - საშუალოების შედარების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში კერძო უნივერსიტეტმა შედარებით მეტად მოიზარა მხარდამჭერი აქტორის როლი ($p=0$).

მეორე დამაჯგუფებელ ცვლადად განისაზღვრა სასწავლო საფეხური. სამიზნე ჯგუფებს შორის საშუალოების შედარების შედეგად სტატისტიკურად სანდო მონაცემები გამოიკვეთა ($p=0.003$): ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებში უნივერსიტეტის მხარდამჭერის ხარისხი 23.74 ქულით ფასდება, ხოლო მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების შემთხვევაში - 26.58 ქულით. მიღებული შედეგების მიხედვით იკვეთება, რომ მაგისტრანტების შეფასებით, უნივერსიტეტის მიერ კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში გადადგმული ნაბიჯები უფრო მეტად ორიენტირდებოდა სასწავლო პროცესის გამართულობასა და, ზოგადად, განათლებაზე ხელმისაწვდომობაზე.

მესამე დამაჯგუფებელი ცვლადის, სასწავლო მიმართულებების, მიხედვით საშუალო მაჩვენებლების შედარებისთვის, ცვლადის მრავალმნიშვნელობიანობიდან გამომდინარე (სასწავლო მიმართულებების რაოდენობა 5-ია), ჯგუფთაშორისი T-ტესტის ნაცვლად, გამოყენებულ იქნა საშუალოთა შედარების მეთოდი ANOVA. შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო მიმართულებების ჭრილში უნივერსიტეტის მხარდამჭერ აქტორად შეფასების საშუალო მაჩვენებელთა გადანაწილება შემდეგია:

- ბიზნესი/ეკონომიკა - 26.65 ქულა
- სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები - 24.60 ქულა
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები/ტექნიკური მიმართულება - 25.50 ქულა
- სამედიცინო მიმართულება - 21.07 ქულა
- სახელოვნებო მიმართულება - 24.37 ქულა

მიუხედავად ქულებს შორის მკვეთრი განსხვავების არარსებობისა, საშუალოთა შედარების მეთოდზე დაყრდნობით, ბიზნესის/ეკონომიკისა და ზუსტ და

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების/ტექნიკური მიმართულების სტუდენტები, სხვა სასწავლო მიმართულებებთან შედარებით, უნივერსიტეტს უფრო მეტად მოიაზრებს მხარდამჭერ აქტორად ($p=0$). ANOVA-ს შედეგებიც ადასტურებს ინტერვიუს ფარგლებში გამოკვეთილ შედეგს, რომ სამედიცინო მიმართულება, პრაქტიკული კომპონენტის განსაკუთრებული მნიშვნელოვნობის გამო, ყველაზე მეტად დაზარალდა კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში. ამდენად, ANOVA-მაც გამოკვეთა, რომ ამ მიმართულების სტუდენტები უნივერსიტეტს შედარებით არამხარდამჭერ აქტორად აფასებენ.

შექმნილი ინდექსური ცვლადის კატეგორიების („მხარდამჭერი“, „არამხარდამჭერი“) მიხედვით, სასწავლო საფეხურებს შორის მკვეთრი პროცენტული სხვაობები დაფიქსირდა - T-ტესტის შედეგების მსგავსად, გამოიკვეთა რომ ბაკალავრიატის სტუდენტებში გაცილებით ჭარბობს მათი წილი, ვინც უნივერსიტეტს კოვიდ-19 პანდემიის პირობებში არამხარდამჭერ აქტორად მიიჩნევს (62.8%), მაგისტრანტთა 54.3%-მა კი ინსტიტუციის ქმედებები პოზიტიურად შეაფასა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X^2=20954$, $p<0.05$).

რაც შეეხება საკითხის სასწავლო მიმართულებების ჭრილში განხილვას, გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ბიზნესის/ეკონომიკის სტუდენტების უმრავლესობა (52.9%) მიიჩნევს უნივერსიტეტს მხარდამჭერ აქტორად, ხოლო დანარჩენი მიმართულებების სტუდენტების შემთხვევაში დომინანტური ნეგატიური შეფასებაა (უნივერსიტეტი, როგორც არამხარდამჭერი სუბიექტი):

- სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები - 57.9%
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები/ტექნიკური მიმართულება - 52.4%
- სამედიცინო მიმართულება - 76.6%
- სახელოვნებო მიმართულება - 57.9% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X^2=33125$, $p<0.05$)

შედეგები კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ სამედიცინო მიმართულებაზე ყველაზე მეტად ნეგატიურად აისახა კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული ცვლილებები სასწავლო მიმართულებით, რაზეც, როგორც ჩანს, უნივერსიტეტმა სათანადო რეაგირება ვერ მოახდინა.

ზოგადი შეფასებისთვის, დებულებებში აღწერილი თითოეული სიტუაციის შეფასების საშუალო მაჩვენებლებზე დაყრდნობით ინდექსური ცვლადი 5 კატეგორიად გენერირდა, რომელთა %-ული წილის მიხედვითაც, უნივერსიტეტი იშვიათად (40.8%) ან ზოგჯერ (33.5%) იკავებდა მხარდამჭერი აქტორის პოზიციას.

უნივერსიტეტის ტიპის ჭრილში საკითხის გაანალიზება შესაძლებელია მხოლოდ ამ კატეგორიულ ცვლადთან მიმართებით, რაც აღწერს კოვიდ-19 პანდემიის პირობებში უნივერსიტეტის მიერ მხარდამჭერი ტიპის აქტივობების განხორციელების სიხშირეს. T-ტესტის შედეგების მსგავსად, სიხშირული გადანაწილებაც მოწმობს, რომ კერძო უნივერსიტეტებმა შედარებით მეტად გამოიჩინეს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა - კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში სასწავლო პროცესის ხელშეწყობაზე ორიენტირებული აქტივობები განახორციელეს და, ზოგადად, მეტად ორიენტირდნენ განათლებაზე ხელმისაწვდომობაზე (იხ. ცხრილი 2).

ხრილი 2 - კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტის მხრიდან გამოვლენილი მხარდაჭერა (უსდ-ის ტიპის ჭრილში)

კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტის მხრიდან გამოვლენილი მხარდაჭერა (%) (N=1278) ($X_2=44468$, $p<0.05$)	სახელმწიფო უნივერსიტეტი	კერძო უნივერსიტეტი
არასდროს/თითქმის არასდროს	12.3	10.1
იშვიათად	42.8	35.4
ზოგჯერ	32.9	34.7
ხშირად	11.0	10.4
რეგულარულად	1.1	9.3

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მიერ პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით

განხორციელებული აქტივობები სტუდენტთა თითქმის თანაბარმა რაოდენობამ ეფექტიანად (35.7%; ქულები 4 და 5) ან არაეფექტიანად (34.1%; ქულები 1 და 2) შეაფასა.¹ თუმცა, ხშირია უნივერსიტეტის მხრიდან სასწავლო პროცესის ძალზე არაეფექტიანად მართვის შემთხვევებიც (10.6%).

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტები ნაკლებად მხარდამჭერ აქტორად მოიაზრება, მათ მიერ გაწეული აქტივობებიც, ძირითად შემთხვევაში, არაეფექტიანობის ველში ექცევა (38.4%; ქულები 1 და 2), ხოლო კერძო უნივერსიტეტების სამოქმედო პოლიტიკა ეფექტიანად ფასდება (39.3%; ქულები 4 და 5) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X^2=75177$, $p<0.05$).

მხარდაჭერის კომპონენტის მსგავსად, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მაგისტრანტებს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობები უფრო მეტად ეფექტიანად მიაჩნიათ, ვიდრე ბაკალავრიატის სტუდენტებს, რაც, სავარაუდოდ, სამიზნე ჯგუფების განსხვავებული ცხოვრების წესს უკავშირდებოდა. მაგისტრანტები, მეტად მოსალოდნელია, რომ დასაქმებულნი იყვნენ ანაზღაურებად სამსახურში, რომელიც სრულ ან ნახევარ განაკვეთზე სამუშაო ადგილზე ყოფნას მოითხოვს. ის ფაქტი, რომ პანდემიის პირობებში სალექციო-სასემინარო საქმიანობამ დისტანციურ ფორმატზე გადაინაცვლა, შესაძლოა პოზიტიურად აისახა მაგისტრანტებისთვის სამუშაოსა და სწავლის შეთავსებაზე. სავარაუდოა, რომ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების, ძირითადად, პოზიტიურად შეფასებას სწორედ ეს საფუძველი უდევს - მაგისტრანტებისთვის შესაძლებელი გახდა სწავლისა და სამსახურის უკეთ შეთავსება, რამდენადაც ლექციებზე ფიზიკურად არ უწევდათ სააუდიტორიო სივრცეში ყოფნა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X^2=37705$, $p<0.05$).

¹ შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს კატეგორიას „ძალზე არაეფექტიანად“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალზე ეფექტიანად“.

პანდემიის პირობებში უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების პოზიტიურად შემფასებელთა კატეგორიაში მოექცა ბიზნესის/ეკონომიკის, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო/ტექნიკური მიმართულებების სტუდენტთა ძირითადი ნაწილი. როგორც ჩანს, მათ სასწავლო მიმართულებაზე არსებული პროგრამები/კურსები შედარებით ადვილად მოდიფიცირდა და ადაპტირდა დისტანციურ რეჟიმზე. კვლევითი კომპონენტიც რომ განვიხილოთ, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ონლაინ რეჟიმში შეხვედროდნენ დაინტერესებულ მხარეებს, ჩაეტარებინათ ინტერვიუები და ა.შ. ამ მიმართულებებისთვის რაც შეიზღუდა, ძირითადად, საველე პრაქტიკას უკავშირდებოდა, რომლის განხორციელებაც ჰიბრიდულ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ კვლავ შესაძლებელი გახდა.

მეორე მხრივ, ონლაინ სწავლებამ, დიდი ალბათობით, შეამცირა მიღებული განათლების ხარისხი. ეს განსაკუთრებით შეეხო ისეთ პროგრამებს, რომლებიც, ძირითადად, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობას მოიცავს, მაგალითად, მედიცინის ფაკულტეტს (Gaebel, 2021). კვლევის შედეგებიც ამას ადასტურებს - სამედიცინო და სახელოვნებო მიმართულებები, რომლებიც უმეტესწილად პრაქტიკულ აქტივობებზე/სასწავლო კურსებზეა აგებული, მეტად დაზარალდა პანდემიის პირობებში. შესაძლოა უნივერსიტეტმა უზრუნველყო პროგრამების, სასწავლო მასალების გაციფრულება და სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართულობას შეუწყო ხელი, თუმცა, როგორც ჩანს, ცოდნის გადაცემის თვალსაზრისით, გაწეული ღონისძიებები სტუდენტთა ძირითადი ნაწილისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. შესაძლოა სწორედ ამით იყოს განპირობებული ის შედეგი, რომ სამედიცინო მიმართულების სტუდენტთა 47% და სახელოვნებო მიმართულების სტუდენტების 36% უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებს პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ არაეფექტიანად აფასებს (ქულები 1 და 2) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X^2=120622$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3 - კოვიდპანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობის შეფასება (სასწავლო მიმართულების ჭრილში)

ზოგადად, რამდენად ეფექტიანად შეაფასებდით უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებს პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ? (სასწავლო მიმართულებების ჭრილში) (%) (N=1278)	ბიზნესი / ეკონომიკა	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები	ზუსტ და საბუნებისმეტყველო / ტექნიკური მიმართულებები	სამედიცინო მიმართულება	სახელოვნო მიმართულება
ძალზე არაეფექტიანად	15.2	9.3	8.2	12.4	12.0
მეტწილად არაეფექტიანად	10.0	25.6	20.8	34.6	24.0
თანაბრად	29.9	25.1	20.4	21.7	24.0
მეტწილად ეფექტიანად	27.5	30.3	32.0	18.0	28.0
ძალზე ეფექტიანად	14.7	7.0	4.8	6.0	8.0
უარი პასუხზე	-	-	1.5	1.4	4.0
არ ვიცი / მიჭირს	2.8	2.7	12.3	6.0	-

ზოგადად, რამდენად ეფექტიანად შეაფასებდით უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებს პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მხრივ? (სასწავლო მიმართულებების კრილში) (%) (N=1278)	ბიზნესი / ეკონომიკა	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები	ზუსტ და საბუნებისმეტყველო / ტექნიკური მიმართულებები	სამედიცინო მიმართულება	სახელოვნო მიმართულება
პასუხის გაცემა					

დასკვნა

საბოლოო ჯამში გამოიკვეთა, რომ კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზების ხარისხზე. დისტანციური სწავლება ნეგატიურად აისახა სწავლა-სწავლების პროცესზე, რამდენადაც პრაქტიკული, ლაბორატორიული, საგნების ჩატარების შესაძლებლობა შეზღუდა. მიუხედავად უნივერსიტეტების ტექნიკური გამართულობისა, გარკვეული საგნების შინაარსობრივი კომპონენტების რეალიზება და პროფესიული ცოდნის გადაცემის პროცესი შეფერხდა. დამაბრკოლებელ ფაქტორად აკადემიური პერსონალის ტექნიკური უნარ-ჩვევები განისაზღვრა, რასაც თეორიული წყაროებიც მოწმობს

(ბაქრაძე, 2020). თუმცა, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ინტერნალური კომპონენტების რეალიზების მხრივ, ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტებმა აღნიშნული პრობლემის მოგვარება ვიდეო-რგოლების შექმნით, ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებით სცადეს. განათლებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, უმეტეს შემთხვევაში სასწავლო მასალები გაციფრულდა, თუმცა, თეორიულ წყაროზე დაყრდნობით, სტუდენტთა ნაწილს ელექტრონულ მასალებზე ხელმისაწვდომად გარკვეული ოდენობის თანხის გადახდა მოუწია (პაპიაშვილი & ბეჟანიძე, 2022).

კოვიდ-19 პანდემიის პირობებში უნივერსიტეტის მხრიდან გაწეულ არასაკმარის მხარდაჭერაზე ყველაზე მეტად სამედიცინო მიმართულების წარმომადგენლებმა მიუთითეს, თუმცა, პროგრამის სპეციფიკაც გასათვალისწინებელია. ქვეყანაში არსებული რეგულაციების თანახმად, უნივერსიტეტები ვერ შეძლებდნენ სრულად პირისპირ რეჟიმზე გადასვლას. რეალურად, სამედიცინო პროფილის უნივერსიტეტები იყვნენ პირველები, რომლებიც სწავლა-სწავლების ჰიბრიდულ ფორმატზე გადავიდნენ, რათა სტუდენტებს პრაქტიკული სამუშაოების ლაბორატორიებში განხორციელების შესაძლებლობა ჰქონოდათ. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტი პასუხისმგებლიანად მოიქცა. თუმცა, მიღებული გამოცდილების საფუძველზე, სტუდენტები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ნაკლებად მხარდამჭერ აქტორად აფასებენ.

შეჯამებისთვის უნდა გამოიკვეთოს, რომ თბილისის უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, მათ შორის კი განსაკუთრებით კერძო უნივერსიტეტებმა, მეტად მოახერხეს აკადემიურის მიღმა სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზება, რადგან ორიენტირი მოწყვლადი სტუდენტებისა და აბიტურიენტებისკენ მიმართეს, რითაც როგორც აკადემიურ დონეზე, ისე, ზოგადად, საზოგადოებაში საკუთარი როლი მეტად გამოკვეთეს. ამავსე მოწმობს გამოკითხვის შედეგებიც - განსაკუთრებული ყურადღება კი სასწავლო პროცესს მიემართება. სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები, კერძო უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან შედარებით, მეტად სკეპტიკურად არიან განწყობილნი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გადადგმულმა

ნაბიჯებმა სრულად ვერ უზრუნველყო, ერთი მხრივ, მოწყვლადი ჯგუფისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობა და, მეორე მხრივ, ხარისხიანი განათლება. თეორიულ წყაროებზე დაყრდნობით, დისტანციური სწავლების ფორმატი შედარებით პოზიტიურადაა შეფასებული, მხოლოდ დროის მენეჯმენტისა და ყოველდღიური ხარჯების (მათ შორის საცხოვრისი, კვება, ტრანსპორტირება) შემცირების თვალსაზრისით (პაპიაშვილი & ბეჟანიძე, 2022).

აქვე ხაზგასასმელია, რომ რამდენადაც ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცისთვის აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია ახლად დამკვიდრებულია, ამ მიმართულებით კვლევითი საქმიანობაც იშვიათია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში კოვიდ-19 პანდემიის საუნივერსიტეტო სივრცეზე გავლენის შემაფასებელი არაერთი კვლევა ჩატარდა, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტი, როგორც სამიზნე კონცეფცია, არცერთ მათგანში არ ფიქსირდება. წარმოდგენილ სტატიაში წინა პლანზეა წამოწეული კოვიდ-19 პანდემიის გავლენა უნივერსიტეტის პოლიტიკაზე, როგორც შიდასაუნივერსიტეტო, ისე უნივერსიტეტსგარე აქტივობების დონეზე, რაც მთლიანობაში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ორივე განზომილებას მოიცავს. ამასთან, ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის - სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის - პოზიციების შედარებამ და შეჯერებამ საკითხის სიღრმისეულად გაანალიზების შესაძლებლობა შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

- Abuladze, A. (2021). *COVID – 19 Pandemic Impacts On Higher Education in Georgia*. Tbilisi: Free Academy of Tbilisi.
- Aristovnik, A., Keržic, D., Ravšelj, D., Tomaževic, N., & Umek, L. (2020). *Impacts of the Covid-19 pandemic on life of higher education students*. Ljubljana: Slovenian Research Agency.
- Bill Cope, M. K. (2020, April 2). *University Business*. Retrieved from COVID-19: Why higher ed may never be the same: <https://universitybusiness.com/covid-19-why-higher-ed-may-never-be-the-same/>
- Casarotti, M., Filipponi, L., Pieti, L., & Sartori, R. (2002, January 15). Educational interaction in distance learning: Analysis of a one-way video and two-way audio system. *PsychNology Journal*, pp. 28-38.
- Chrysi Rapanta, L. B. (2020, July 7). Online University Teaching During and After the Covid-19 Crisis: Refocusing Teacher Presence and Learning Activity. *Postdigital Science and Education*, pp. 923-945.
- Darchia, I., & Glonti, L. (2020, June 3). *Covid-19 as a catalyst and litmus test for higher education system development in Georgia*. Retrieved from European University Association: <https://eua.eu/resources/expert-voices/177:covid-19-as-a-catalyst-and-litmus-test-for-higher-education-system-development-in-georgia.html>
- Esfijani, A., Hussain, F. K., & Chang, E. (2013). *University Social Responsibility Ontology*.
- Gaebel, M. (2021). *Digitally enhanced learning and teaching in European higher education institutions*. Switzerland: European University Association.
- Giorgi Basilaia, D. K. (2020). Transition to Online Education in Schools during a SARS-CoV-2 Coronavirus (COVID-19) Pandemic in Georgia. *Pedagogical Research*.
- Gomez, L., Naveira, Y. A., & Bernabel, A. P. (2018). *Implementing University Social Responsibility in the Caribbean: Perspectives of Internal Stakeholders*. Peru: Revista Digital De Investigación En Docencia Universitaria.
- Gomez-Vasquez, L. (2014). *University Social Responsibility: A Social Transformation of Learning*. Florida.
- Gordana Stankovska, I. M. (2022). Impact of COVID-19 on Higher Education: Challenges and Opportunities. *BCES Conference Books*, (pp. 181-188). Sofia.
- Pedro Severino-González, D. G.-V.-P.-A.-B.-T.-P. (2022, April 27). Social Responsibility: Sustainable Development Goals and COVID-19 - Perception Scale of Students from

Higher Education Institutions. *International Journal of Environmental Research and Public Health*.

Shachar, M., & Neumann, Y. (2003, October). Differences Between Traditional and Distance Education Academic Performances: A meta-analytic approach. *International Review of Research in Open and Distance Learning*, pp. 1-17.

UNESCO. (2020, March 4). Retrieved from 290 million students out of school due to COVID-19: UNESCO releases first global numbers and mobilizes response: <https://www.unesco.org/en/articles/290-million-students-out-school-due-covid-19-unesco-releases-first-global-numbers-and-mobilizes#:~:text=Press%20release-,290%20million%20students%20out%20of%20school%20due%20to%20COVID%2D19,globally%2C%20a%20figure%20wit>

UNFPA, ACT. (2020). *Assessing the Socio-Economic Impact of COVID-19 on Young People in Georgia*. Tbilisi: United Nations Population Fund (UNFPA) Country Office in Georgia.

UNICEF საქართველო. (2018). Retrieved from მდგრადი განვითარების მიზნები: <https://www.unicef.org/georgia/sustainable-development-goals>

Vallaey, F. (2013). *University Social Responsibility: A Mature and Responsible Definition*.

Vasilescu, R., Barna, C., Epure, M., & Baicu, C. (2010). *Developing university social responsibility: A model for the challenges of the new civil society*. Procedia Social and Behavioral Sciences.

World Health Organization (WHO). (2019). *World Health Organization (WHO)*. Retrieved from Coronavirus disease (COVID-19) pandemic: <https://www.who.int/europe/emergencies/situations/covid-19>

ბაქრაძე, ლ. (2020). *ახალი საგანმანათლებლო რეალობა - ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები*. თბილისი: Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი.

ვერულავა, თ. (2021). *დისტანციური სწავლება - 21-ე საუკუნის ახალი ტენდენცია გლობალური პანდემიების ხანაში*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. (2020). *სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა დისტანციური სწავლების შესახებ*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). (2021). *განათლების სექტორის მიმოხილვა COVID-19 პანდემიის პირობებში*. თბილისი: ღია საზოგადოების ფონდები (OSF).

პაპიაშვილი, ა., & ბუჯანიძე, თ. (2022). *სტუდენტთა სოციალური საჭიროებების კვლევა*. თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. (2020). Retrieved from მთავრობის ანგარიში მოქალაქეებს: https://www.gov.ge/files/78044_78044_380617_.mes.gov.ge.pdf

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. (2020). *რეკომენდაციები*. Retrieved from საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო: <https://www.mes.gov.ge/content.php?id=11791&lang=geo>

საქართველოს მთავრობის დადგენილება #205. (2020 წლის 31 მარტი). მოპოვებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4840190-დან>

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2023). *ევროსტუდენტი 8-ის კვლევის შედეგების ანალიტიკური ანგარიში*. Retrieved from Eurostudent: https://www.eurostudent.eu/download_files/documents/EUROSTUDENT_8_Georgia_Analytical_Report_georg.pdf